



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№548 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მიერ სახელმწიფო  
შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით  
განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ (საიდენტიფიკაციო კოდი: №215096367) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2016 წლის განმავლობაში საკუთარი სახსრებით განახორციელოს შემდეგი საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა:

ა) შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მართვაში შემავალ სამთო-სათხილამურო კურორტებზე არსებული საბაგიროების, მოძრავი ხალიჩისა და დახრილი ლიფტის გამართული მუშაობისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები, საცხებ-საპოხი მასალები, ტექნომსახურება, ტექნიკური დათვალიერება/ ინსპექტირება, ექსპერტის

მომსახურება და საბაგიროების ელექტრომომარაგების შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭირო საქონელი და მომსახურება;

ბ) შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მართვაში შემავალ სამთო-სათხილამურო კურორტებზე, როგორც არსებული, ისე ახალი საბაგიროებისათვის საჭირო გამშვები სისტემები, მათი ინსტალაციის/მონტაჟის/დემონტაჟის მომსახურება, სათადარიგო ნაწილები, საბაგიროს ბილეთები, პროგრამული პაკეტი, მარკეტინგული საშუალებების მოსაწყობად საჭირო სათადარიგო ნაწილები და პროგრამული პაკეტი. ასევე გამშვები სისტემის ელექტრომომარაგების შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭირო საქონელი და მომსახურება;

გ) შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მართვაში შემავალ სამთო-სათხილამურო კურორტებზე არსებული სპეციალიზირებული ტიპის თოვლსატკეპნი მანქანებისა და ყველა სხვა სახის სპეცტექნიკისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილები, საცხებ-საპოხი მასალები და ტექნიკური დათვალიერება/მომსახურება;


დ) შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მართვაში შემავალ სამთო-სათხილამურო კურორტებზე ახალი და მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო სხვადასხვა სპეციალიზირებული ტექნიკის (ოპერატორებით) ქირავნობა;

ე) შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მართვაში შემავალი სამთო-სათხილამურო კურორტების წარმატებულად ფუნქციონირებისთვის საჭირო კვლევითი, სატრენინგო, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურება.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების

პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებ(ებ)ის მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-11 – მე-13 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი